სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

180

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 28 ივნისი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 132 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 132

შაბათს 29 ივნისს დილის 11 საათზე, სახელმწიფო თეატრში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დამაარსებელის და ბელადის

გიორგი ვალენტინეს ძე

პლეხანოვის

პატივსაცემლათ, რასაც აუწყებს ამხანაგებს საოლქო კომიტეტი, თფილისის კომიტეტი და ეროვნულ საბჭოს სოც.-დემოკრატიული ფრაქცია.

შესვლა მხოლოდ პარტიის წევრთათვის, პარტიის საწევრო ბარათებით.

ქ. თფილისის მეორე რაიონის საუბნო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ამხანაგებს, რომ ქ. დუშეთში, ბრბოს მიერ ვერაგულად მოკლულ იქნა დაუვიწყარი ამხანაგი

პეტრე ავლოხაშვილი

(2-2)

გულდამწვარი მამა სტეფანე, ძმები: ერისტო და ივანე, დები: ნინა სტეფანეს ასული მოსეშვილის და ოლია სტეფანეს ასული ვაშაკიძე, სიძე თედორე ვასილის ძე მოსეშვილი, ბიძაშვილები: კონსტანტინე და მიხაკო ალექსანდრეს ძენი ვაშაკიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს 28 ივანობისთვეს (ძვ. სტ. 15) დილის 11 საათზე სოფ. დიდი ჯიხაიშის ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის, დაუვიწყარი თფილისის ტრამვაის მოსამსახურის

ვალერიანე სტეფანეს ძე ვაშაკიძის

სულის მოსახსენებლად. (2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი მამა ხარიტონ, დები მარიამ, ეფროსინე, ლიზა და თამარა, ძმა ვანო, ბიძა ზურაბი, ბიცოლები მაია და ფატია, სიძეები ალექსანდრე გრიგოლის ძე ზაქაიძე და იონა გიტოს ძე კიზირია, ბიძაშვილი მარკოზ არჩილის ძე ჩლაიძე მეუღლით ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ მეგობრებთ და თანამოსამსახურეებს, რომ შაბათს, 29 ივნისს, დილის 12 საათ. ქ. თფილისში კუკიის წმინდა ნინოს ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულათ გარდაცვალებულის

მელანია (მელიკო) ხარიტონის ასული სხირტლაძის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

გულ დათუთქული მეუღლე ანეთი ყანჩაველი ასული ლომთაძისა, ნათლიმამა მელიტონ ილიას ძე ბაქრაძე მეუღლე მისი ელისაბედ ბაქრაძისა, შვილები: თამარი, ვერა და შალვა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ოთხშაბათს ამა ივნისის 26 ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გრიგოლ სოლომონის ძე ლომთაძე.

გამოსვენება მოხდება პარასკევს 28 ივნისს (ახალი სტილით) თავის ბინიდან ალექსანდრეს ქუჩა, სახლი გამბაროვისა № 38, დილით ათ საათზე წმინდა ნინოს ეკლესიაში, წირვის შემდეგ იქვე გალავანში იქნება დასაფლავებული. (1—1)

თფილისის გუბერნიის კომისარიატი და მფრინავი რაზმის შტაბი, აუწყებს საზოგადოებას და დაწესებულებებს, რომ დღეს 28 ივნის საღ. 7 საათზე ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი დუშეთის მაზრაში ვერაგულად დახოცილ ამხანაგების მოსახსენებლათ. (1—1)

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ჯარის გამოკვების საინტენდანტო ნაწილი სასურსათო საქმის სამინისტროსთან შეთანხმებით, ამით აცხადებს, რომ ჯარისთვის საჭიროა ხორბალი, ქერი (შვრია), სიმინდი და თივა. ზემო ჩამოთვლილი სურსათი მიიღება საინტენდანტო სასურსათო საწყობებში და რკინის გზის სადგურებზედ სახაზინო ტომრებით. მსურველთ უნდა შემოიტანონ საინტენდანტო ნაწილში განცხადება, სადაც დასახელებული უნდა იყოს რაოდენობა და ფასი სურსათისა, აგრეთვე ადგილი, სადაც ჩააბარებენ სურსათსა.

მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 51. (3—1)

საერობო და საქალაქო საქმეთა შესასწავლი კურსები

(დაარსებული ქალაქთა კავშირის მიერ).

გაიხსნება 30 ივნისს დილის 11 საათზე ქალთა მესამე გიმნაზიაში. კურსებზე ჩაწერა სწარმოებს ქალაქთა კავშირის შრომის განყოფილებაში (სომხის ბაზარი № 6). კურსები უფასოა ყველა იმ პირთათვის, რომელებსაც გამოგზავნის: ქალაქის საბჭოები, კოოპერატივები, გუბერნიის და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტები, პროფესიონალური კავშირები, სასურსათო ორგანიზაციები და ნაციონალური საბჭოები. კერძო პირები კი გადაიხდიან 20 მან. (2—1)

კვირას, 30 ივნისს, დანიშნულია ახალი საკრებულოს წევრთა და კანდიდატთა

წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1) 1917 წლის ანგარიშის განხილვა. 2) მამასახლისთა საბჭოს მოხსენება თავის მოქმედების შესახებ. 3) მამასახლისთა საბჭოს, სარევიზიო [illegible] წევრთა და კანდიდატების არჩევნები და სხვა. (2—1)

ჩვენი ვანდეა

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კუთხე აჯანყების ალშია გახვეული. ბევრი თავდადებული რევოლიუციონერი გამოასალმეს წუთისოფელს ლეჩხუმში და ოსეთში, დუშეთის და თიანეთის ზოგ ადგილებში. ამის გამო უსაზღვრო სიხარულს ეძლევიან რევოლიუციის მტრები, ხოლო ხალხის მოკეთენი სასოწარკვეთილებაში ვარდებიან. ჩვენსა და გლეხობას შორის ხიდია ჩატეხილი, გლეხობას ჩვენ ვერ მივეცით მიწა და ეს გარემოებაა, რომ სოფელი ჩვენს მთავრობას აღარ ემორჩილებაო.

ხალხის დასამშვიდებლათ რომ რეფორმებია საჭირო, ეს სადავო არ უნდა იყოს არავისთვის. მაგრამ დღევანდელ აჯანყებების დაკავშირება რეფორმების საქმესთან შეუძლებელია.

საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის ისე გაჭირვებული, როგორც გურია, მაგრამ აქ არც ერთხელ არ დარღვეულა რევოლიუციონური წეს-რიგი.

დამაფიქრებელია აგრეთვე შემდეგი მოვლენა: როცა 1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა და ქვეყანას ალიხანოვების დამსჯელი რაზმები მოედო, გლეხობამ მორჩილებით მოიხარა ქედი და იარაღი არავის მიუმართავს. მას შემდეგ, რაც 1917 წლის რევოლიუცია მოხდა, ერთი ფუთი პურიც ვერ გამოიტანეს ჩვენმა სასურსათო ორგანიზაციებმა ახალქალაქის მაზრიდან, დღეს კი იქაურ პურს ოსმალეთის ფაშები ინაწილებენ ურთიერთ შორის და არავის ფიქრათაც არ მოსვლია აჯანყების მოხდენა. ჩვენ ვშიშობთ, რომ თუ ოდესმე რეაქციას უწერია ჩვენში გაბატონება, ყველაზე ადრე ის სწორეთ იქ გაბატონდება, სადაც დღეს აჯანყებაა.

ასეთი მდგომარეობიდან ჩვენ დასკვნაც შესაფერი უნდა გამოვიყვანოთ: არ ვარგა სოფელში ისეთი მოქმედება, როგორსაც ბიუროკრატია ადგა, მაგრამ არც მარტო დაყვავება და აგიტაცია-პროპაგანდაა საკმაო. რომ მარტო ზნეობრივი გავლენა იყოს საკმაო, მაშინ ხომ საჭირო აღარ იქნებოდა სახელმწიფო და მისი ძალდატანებით აპარატი: საზოგადოებაში მუდამ მოიპოვება ურჩი ელემენტები, რომელნიც მხოლოდ ძალას უწევენ ანგარიშს. აი ასეთი ძალები მოღვაწეობენ დღეს ლეჩხუმში და ოსეთში, თიანეთში და დუშეთში. ასეთი ელემენტები მრავალია გურიაში და იმერეთში, ქართლში და კახეთში, მაგრამ აქ ისინი ვერას აწყობენ შეგნებულ ხალხთან, რომელიც რევოლიუციონურ ორგანიზაციებით არის დარაზმული. აჯანყებულ კუთხეებში კი ხალხი შეუგნებელია და თუმცა მისი ობიექტიური ინტერესები რევოლიუციონურ მთავრობის ურჩობას არ მოითხოვს, მაგრამ ის მაინც იჩენს ასეთს ურჩობას, უფრო ხშირათ, რასაკვირველია, პასიურს, აი ასეთს ადგილებში საჭიროა მთავრობის აპარატის გაძლიერება. ერთის მხრით რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა უნდა გააცხოველონ პროპაგანდა-აგიტაცია ამ კუთხეებში, მაგრამ იმავე დროს მთავრობამ უნდა გააძლიეროს აქ მილიცია და ადმინისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ასეთ ადგილებში რაიმე რეფორმის გატარება. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს დასაბუთებული ცნობები იმის შესახებ, რომ მიწის ახალი კანონი არ ტარდება ცხოვრებაში სწორეთ იმ კუთხეებში, სადაც აჯანყებაა. მაშასადამე ცხადია ისიც, თუ ვისთვის საა სასარგებლო ეს აჯანყებები: მემამულეები და სპეკულიანტები—აი ვინ ითბობენ ხელს ამ მოძრაობაში. რუსი ჩინოვნიკები და თათრის ბეგები—აი ვის ახარებს ეს მოძრაობა.

ასეთ პირობებში შეუძლებელია ყოყმანი და ლმობიერება. როცა საფრანგეთის მეფეს ლუი მეთექვსმეტეს ასამართლებდენ, რევოლიუციის ბელადებმა სთქვეს: სჯობია ერთი დაიღუპოს, რომ ხალხი გადარჩესო. და მეფეს თავი მოჰკვეთეს.

როცა დღეს საქართველოს ზოგიერთი კუთხე მოღალატეების გავლენით ასე ურცხვათ ივიწყებს მოვალეობას სამშობლოსა და ხალხის წინაშე, საჭიროა ეს კუთხე იარაღით იქნეს დამორჩილებული, რომ ამ გზით საფრთხეს გადარჩეს მთელი საქართველო, მთელი ხალხი და მისი წმიდათა-წმიდა. და ეს უნდა ქნას სწორეთ რევოლიუციონურმა მთავრობამ. არც ნაციონალდემოკრატები და არც ბალშევიკები, მიუხედავათ მათი ფრაზეოლოგიისა დაინტერესებული არ არიან ასეთ ბარბაროსულ აჯანყების ჩაქრობაში.

სასწორზე ძევს სახალხო საქმე, საფრთხე ხალხს მოელის და ამიტომ ყველა შეგნებული მოქალაქე, განსაკუთრებით კი მუშა და გლეხი უნდა შეებრძოლოს ამ საფრთხეს.

შეგნებულ საქართველოს ვანდეა აუჯანყდა. საჭიროა მისი ალაგმვა და ქვეყნის გადარჩენა.

პრესა

„კავკაზსკოე სლოვო" ინტერნაციონალიზმს ექომაგება. მთავარი ძალა და ძლიერება მდგომარეობს ინტერნაციონალურ მოძრაობის მიმდევრობაში, მის იდეოლოგობაში, ამით იყო ძლიერი ქართველი სოც. დემოკრატიაცო—სწერს გაზეთი და ჩვენ მართლაც გაგვიკვირდა ასეთი აზრების ამოკითხვა ნაციონალისტების გაზეთში. „კავკაზსკოე სლოვო" ინტერნაციონალიზმის დამცველის როლში! აბა როგორ არ გაგვიკვირდებოდა... რაშია საქმე? ძალაუნებურათ გვებადება ეს კითხვა; მაგრამ აი დაუგდეთ ყური:

„როდესაც ამიერ-კავკასიის ცოცხალი სხეული გასჭრეს, მენშევიკებმა სწრაფათ მიჰყვეს ხელი ნაციონალიზაციას ყველა იმისა, რაც დარჩა საქართველოს საზღვრებში და თითქმის სრულიად ანგარიშს არ უწევენ მეზობელ ერების ინტერესებს, შედეგათ მოჰყვა ამას—ნაციონალიზმის გამწვავება და იმავე დროს შესუსტება საქართველოს სოც.-დემ. და გაძლიერება იმ ელემენტების, რომელნიც აშკარათ ლაპარაკობენ ნაციონალისტურ პოლიტიკაზე".

რასაკვირველია გაზეთი ამიერ-კავკასიის გაყოფაში და რუსეთიდან ჩამოშორებაშიაც უმთავრესად ჩვენ გვდებს ბრალს, დიდი როლი ითამაშენ ამ საქმეში.

ამრიგათ ცხადია ნაციონალიზაცია დაწესებულებების—აი რა ყოფილა ღალატი ინტერნაციონალიზმის. მაგრამ ამის ავტორს რომ სახეში ჰქონოდა არა მოსულ ჩინოვნიკების ინტერესი, არამედ მუშათა კლასის და საზოგადოთ დემოკრატიის, იგი ნაციონალიზაციას ასე არ დაგმობდა. მას მაშინ გაახსენდებოდა, რომ ნაციონალიზაცია დაწესებულებების ყველა დემოკრატიულ პროგრამებში არის მიღებული, როგორც მისი ერთი აუცილებელი ორგანიული ელემენტი. ცხადია მისი განხორციელება კი არ არის ღალატი ინტერნაციონალიზმის, არამედ დაბრუნება ერისთვის იმ ინტერნაციონალისგან აღიარებულ დემოკრატიულ უფლების, რომელიც ყველასთვის უდაოა... გარდა ჩინოვნიკებისა და მათ დამცველების, რასაკვირველია. ჩინოვნიკების ინტერნაციონალობა კი ს.-დემ. არასოდეს არ ქონია მიზნათ დასახული.

მიუხედავათ ამისა ამ საქმეში აჩქარება სოც.-დემ. არ ჩაუდენია. პირიქით, მან მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება თანდათანობით და უმტკივნეულოთ გაატაროს ეს რეფორმა. და თუ ხანდისხან ვერ ახერხებს ამას—ისიც თვით იმ ჩინოვნიკების გაბუტვის ბრალია... მათ თავის მოვალეობაზე ხელი აიღეს და საქართველოს რესპუბლიკის ცნობაც არ სურთ. პირიქით მის ხელის შემშლელათ გამოდიან და აი აქეთკენ რომ მიექცა ყურადღება „კავკაზსკოე სლოვოს"—მაშინ ჩვენი პარტიის მაგიერ სხვა მხრივ მიმართავდა თავის საყვედურებს. და თუ ეს არ ჩაიდინა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისიანების ხელის დაფარება არჩია სიმართლის თქმას. ქართველ დემოკრატიას კი ეს სახელს ვერ გაუტეხს.

ბრძოლა ბაზრისთვის

ამ ომის დროს, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, ბევრს სწერდენ გერმანიის გეგმაზე. თითქმის საერთოთ იქნა მიღებული, რომ გერმანიას სურს რუსეთი დაყოს რამოდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოთ და ის სამუდამოთ დაასუსტოს. მეორე მხრივ, გერმანიის ინტერესი მოითხოვს მცირე აზიის ხელში ჩაგდებას, სპარსეთზე თავის გავლენის განმტკიცებას და ინდოეთისკენ გალაშქრებას. მართალია, გერმანიაში საზოგადოების ერთი ნაწილი ასეთ აზრს იზიარებს. მაგრამ არ შეგვიძლიან ყურადღებოთ დავტოვოთ ზოგიერთი წრეების გეგმაც, რომელიც სულ სხვა მიმართულებას ადგია.

ძვირათ მოიპოვება დღევანდელ მდგომარეობაში ისეთი მაგალითი, როგორც გერმანიას და რუსეთის ერთიერთ შორის განწყობილებაა, თუ, რასაკვირველია, არ შევჩერდებით გადამავალ ხანაზედ და სახეში მივიღებთ ხანგრძლივ დამოკიდებულობას. ჩვენ კარგათ გვახსოვს მოკავშირეების კონფერენცია პარიზში, სადაც უნდა შეემუშავებიათ საერთო გეგმა გერმანიასთან ეკონომიური ბრძოლის.

რუსეთის ბურჟუაზიულ წრეებში ამ კონფერენციას გულგრილათ შეხვდენ. პრ. ტუგან-ბარანოვსკის აზრით, რუსეთის შეკავშირება ინგლისთან ეკონომიურად და ბოიკოტი მიმართული გერმანიისადმი, იქნებოდა საზარალო რუსეთის ეკონომიური განვითარებისთვის და მეტად სასარგებლო ინგლისის იმპერიალისტებისთვის. საქონელი, ინგლისიდან შემოტანილი, ორჯერ უფრო ძვირათ დაუჯდებოდა რუსეთის მომხმარებლებს, ვიდრე გერმანიიდან, რომელიც ასე ახლოა რუსეთთან და ტეხნიკურ განვითარების წყალობით უფრო იაფ ფასად ამზადებს საქონელს. გერმანია-რუსეთის ეკონომიური კავშირის ბუნებრივობას და აუცილებლობას ამტკიცებდა საზღვარ-გარეთელ პრესაში ომის წინ ლ. ტროცკიც.

დღეს მატერიალისტიც და იდეალისტიც შეპყრობილია იმის მტკიცებით, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები გაფაციცებით ეძებენ ახალ ბაზრებს. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია უკეთესი ბაზარი გერმანიის ბურჟუაზიისთვის, რომელიც სჯობდეს რუსეთს. ამისთვის ჩვენ არ გვიკვირს, რომ გერმანიაში არსებობს მიმდინარეობა რუსეთის კუთხეების გაერთიანების და მასთან მჭიდრო ეკონომიურ-პოლიტიკური კავშირის შეკვრის სასარგებლოთ. მართალია, რუსეთის გაერთიანება შეიძლება მოხდეს რეაქციონურ ძალებით, მაგრამ ამას საერთო პერსპექტივისთვის მნიშვნელობა არ აქვს. პოლიტიკის ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ ეს შესაძლებლობაც და სათანადო დასკვნა გამოიყვანონ.

გაზეთებში ხშირათ იბეჭდება ცნობები, რომ ცენტრალურ სახელმწიფოებს სურს ინდოეთი აუჯანყოს ინგლისელებს. მართალია, არის ასეთი მიმართულებაც. მაგრამ იმავე დროს არსებობს მეორე აზრიც, რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს. ინდოეთის აჯანყებას მოჰყვება მთელი აფრიკის აჯანყება. ფაქტიურად ეს იქნება კოლონიების აჯანყება კაპიტალისტურ ევროპის წინააღმდეგ და ეს საფრთხეს მოუმზადებს არა მარტო ინგლის-საფრანგეთს, არამედ თვით გერმანიასაც. ჩვენ კარგათ გვახსოვს იმპერ. ვილჰელმის სიტყვები „ყვითელი საფრთხის" შესახებ, წარმოთქმული ჩინეთის აჯანყების გამო, რომელიც ჩააქრო ევროპიელების შეერთებულმა რაზმმა გერმანელ გენერლის ხელმძღვანელობით. დღესაც შეიძლება კაპიტალისტური ევროპა შეერთდეს აჯანყებულ კოლონიებს წინააღმდეგ. ასეთ შესაძლებლობასაც ანგარიში უნდა გაუწიოს პოლიტიკურმა მოღვაწემ.

საერთოდ, მეტად სახიფათოა გაზეპირებულ აზრების განმეორება და იმაზე პოლიტიკურ ტაქტიკის დამყარება. ყოველნაირ შესაძლებლობას ანგარიში უნდა გავუწიოთ. **ბ. თეკლათელი.**

ნ. ჟორდანიას სიტყვა

წარმოთქმული წითელი გვარდიის შესახებ.

(21 ივნისი)

მოქალაქენო, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრნო! სამხედრო კომისიის დავალებით მოგახსენებთ შემდეგს: სამხედრო კომისიამ სახალხო გვარდიის დაარსების კანონ პროექტი მიიღო საბჭოს პრეზიდიუმისაგან, ხოლო საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცა იგი ს.-დ. ფრაქციის მიერ. სამხედრო კომისიამ ეს კანონ პროექტი მიიღო მთლად ცოტაოდენი ცვლილებით.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ აქ ჩამოვარდა ეგრედწოდებული ბალშევიკური საფრთხე. თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავს იდვა შეედგინა წითელი გვარდია. ამ მიზნით მან მიმართა მუშებს; მუშები მოწოდებას დიდის თანაგრძნობით შეხვდენ და სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში 1000 კაცამდე ჩაეწერა. დაისვა საკითხი, როგორ შევაიარაღოთ მუშები. მივმართეთ სამხედრო უწყებას. ამ განზრახვას ბევრი წინააღუდგა, მათ შორის იყვნენ ს.-რევ., ისინი ამბობდენ, რევოლიუციის დაცვა ჯარის საქმეა რევოლიუციის დაცვა ეკუთვნის რევოლიუციონურ ჯარს. ამნაირად მუშებსა და ჯარისკაცთა შორის ჩამოვარდა შურისძიება. მთავარმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი დადგენილება მაინც სასრულში მოიყვანა: 500 თოფი მიიღო არსენალიდან, შემდეგ აიღო კიდევ ორდერი 500 თოფის გამოსატანად არსენალიდან. მაგრამ, როდესაც მივიდნენ თოფების წამოსაღებათ ჩვენგან გაგზავნილი ჯარისკაცები ხელცარიელი დაბრუნდენ, იარაღის მიცემაზე უარი უთხრეს. მაშინ ახლად დაარსებული გვარდია იძულებული იყო ერთს ღამეს არსენალი დაეკავებინა.

არსენალის დაკავების შემდეგ გარნიზონსა და მუშებს შორის კონფლიქტი მოხდა. ამიერიდან არსენალი გვარდიის ხელში გადავიდა, რამაც თანდათან გაალრმავა უთანხმოება და შუღლი მობალშევიკე სალდათებსა და მუშებს შორის. გვარდია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შესდგა პირველათ ტფილისში. ასეთივე წესით მოეწყო პროვინციებში. აქაც დაარსდა შტატები მაგ., თელავში, გორში, სიღნაღში, სიმტრედიაში, ხაშურში, ერთის სიტყვით საქართველოს უმთავრეს დაბა-ქალაქებში შესაძლებელი შეიქნა გვარდიის მოწყობა. [illegible] მხოლოდ გვარდიის მოწყობა თათრებით დასახლებულ ადგილებში: ერევნის, განჯის გუბერნიებში. და აი ეს გვარდია მედგრად იცავდა რევოლიუციას და მის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას, ებრძოდა ბალშევიკურ საფრთხეს და ყოველგვარ ანარქისტულ გამოსვლებს აქრობდა.

თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ ნავთლუღში დაბანაკებულ ყარსის პოლკს განზრახვა ჰქონდა ტფილისი აეღო და ამიერ-კავკასიის კომისარიატს ულტიმატუმი წარუდგინა 24 საათ. განმავლობაში გადამდგარიყო, მაგრამ ამ ულტიმატუმზე ჩვენმა მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა უპასუხა, რომ იგი მუშათა ინტერესების დასაცავათ მზათ არის იარაღით ხელში გაუმკლავდეს ყარსის პოლკს, რომელიც ილაშქრებს რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ. ყარსის პოლკს ასეთი პასუხი გაუკვირდა. ჩვენ გვითხრეს, ვითომც მთავრობა მუშების ინტერესების წინააღმდეგ მოქმედობდეს, კონტრ-რევოლიუციას ემსახურებოდეს და თუ მუშები მთავრობას ნდობას უცხადებენ, ჩვენ არა გვეთქმისრა. ამნაირად, ჩვენმა მორალურმა გავლენამ ყარსის პოლკის მეთაურებზე და უმთავრესად კი პოლკის შემადგენლობაზე იმოქმედა, გასჭრა. ყარსის პოლკი ნავთლუღიდან წავიდა და ამ ნაირად გვარდიამ საფრთხეს გადაგვარჩინა. თქვენ გახსოვთ, რომ თფილისის ეშელონი ეშელონზე აწყდებოდა, მაგრამ გვარდიის დახმარებით საფრთხეს თავიდან ვიშორებდით და ეშელონებს რუსეთში ვისტუმრებდით. ამ ნაირად გვარდიამ მოსალოდნელ ბოლშევიკურ საფრთხეს გადაარჩინა თფილისი და შედარებით წესიერება დაამყარა.

ბალშევიკურმა გამოსვლებმა თავი იჩინა სოფლებში და დაბა-ქალაქებშიაც. მაგ. თელავში, გორში, ქუთაისში, ცხინვალში და სხვაგან. ყველა ამ ადგილებში წითელი გვარდია ებრძოდა აჯანყებულ ბრბოებს და მშვიდობიანობას ამყარებდა. წითელ გვარდიამ ფრონტზედაც ისახელა თავი; ერთი სიტყვით, როგორც შიგნით, ისე გარეთ დიდი სამსახური გაგვიწია და, თუ დღეს ჩვენში რევოლიუციის მონაპოვარით ვსარგებლობთ და თავისუფლება შედარებით უზრუნველყოფილია, ეს სავსებით უნდა მიეწეროს წითელი გვარდიის მოქმედებას; რევოლიუციის დაცვა რომ თავს არ ედვა თფილისის მუშათა ორგანიზაციებს, დიდი ანარქია იქნებოდა გამეფებული, როგორც სამოქალაქო ომის სახით, ისე ნაციონალურ ნიადაგზე. შემდეგ, როცა ოსმალეთთან ხელშეკრულების თანახმად ჩვენ [illegible] ვალდებული [illegible]

8151
ეროვნული ბიბლიოთეკა

ების გარანტიისა, რათა ამით თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი საფრთხე მშვიდობიანობის დასამყარებლათ, დადგა კითხვა: რას ნიშნავს ეს „ბანდები", რომლის შესახებაც ოსმალეთის მთავრობა იუწყება. ეს წითელი გვარდია, რომელიც აქამდის ესე დიდ სამსახურს გვიწევდა და რომელიც დაკანონებული არ არის, ხომ არ შედის ამ ცნობაში. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ერთგვარი იურიდიული მხარე უნდა მივსცეთ საკითხს და გვარდია დავაკანონოთ, როგორც მთავრობის მიერ აღიარებული ძალა, როგორც შინაური, ისე გარეშე მოსალოდნელ საფრთხესთან საბრძოლველად. სწორეთ ამ მოსაზრებით სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიმუშავა კანონ-პროექტი წითელი გვარდიის შესახებ, ეს კანონ-პროექტი წარუდგინა პრეზიდიუმს, რომელმაც თავის მხრივ გადასცა სამხედრო სექციას განსახილველად. და დღეს თქვენ მოისმენთ ხსენებული სექციის მიერ განხილულ კანონ პროექტს. ამ კანონ-პროექტით გვარდიაში ეწერებიან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც არ არიან ვალდებულნი სამხედრო უწყებაში იმსახურონ, გარდა ამისა გვარდიაში მონაწილენი არ უნდა იყვენ ჩირქმოცხებულნი, სისხლის სამართლით დასჯილნი, არამედ უნდა იყვენ იდეიით აღჭურვილნი პირნი, რევოლიუციის ერთგულნი დამცველნი. ამ პროექტით გვარდიის არსებობა, არამც თუ ავნებს მუდმივ ჯარს, არამედ დაეხმარება მას, და ყოველთვის ხელი-ხელ ჩაკიდებული იმოქმედებს მასთან ერთად, როგორც ფრონტზე გარეშე მტერთან საბრძოლველათ, ისე შიგნით ანარქიისა და ექსცესების ჩასაქრობად. ამნაირად გვარდია იქნება ერთგვარი რეზერვი ჩვენი მუდმივი ჯარისა. გვარდია ემორჩილება ცენტრში მთავარ შტაბს, ხოლო რაიონებში რაიონულ შტაბებს. საჭირო ხარჯს გვარდიის შესანახად კისრულობს მთავრობა. ჩვენი მიზანია გვარდია თანდათან გავაფართოვოთ და ამნაირად ნიადაგი მოვუმზადოთ მომავალ სახალხო მილიციას, რომელსაც ადგილი ექნება, როცა მშვიდობიანობა დამყარდება. გარდა ამისა კანონ-პროექტში ერთი მთავარი მუხლი გვაქვს, რომლის ძალითაც გვარდია ექვემდებარება მინისტრთა თავმჯდომარეს, რომელსაც უფლება ეძლევა საჭიროების დროს გამოიწვიოს გვარდია. ასეთივე უფლება ენიჭება ეროვნული საბჭოს თავმჯდომარესაც. ამით უზენაესი პოლიტიკური უფლება გვარდიის შესახებ ენიჭება მთავრობისა და საბჭოს თავმჯდომარეებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში რაიონულ შტაბებს უფლება ენიჭებათ თავის შეხედულებისამებრ, როცა სასწრაფო ზომებია მისაღები საფრთხის თავიდან ასაცილებლად, თვითონ მოახდინოს სათანადო განკარგულება. აი მთავარი მუხლები იმ კანონ-პროექტისა, რომელიც თქვენ მოგეხსენდებათ. ჯერ უნდა ვიმსჯელოთ საერთოდ კანონ-პროექტის შესახებ, შემდეგ, როცა ეს საკითხი გადასწყდება, საბჭო შეუდგება მის მუხლობრივ განხილვას. (ტაში).

პარლამენტარული საქმიანობა ევროპაში და ჩვენში

სოციალდემოკრატიის პარლამენტალური მოქმედება ევროპის პარლამენტებში ხასიათდება იმით, რომ იქ სოციალდემოკრატია იბრძვის მთავრობის კანონპროექტების წინააღმდეგ. რასაკვირველია ს.-დ.-იას დრო გამოშვებით შეაქვს პარლამენტში საკუთარი კანონ-პროექტები, მაგრამ ეს პარლამენტალური დადებითი ტაქტიკა შედარებით ოპოზიციონურ მოქმედებასთან მეტად უმნიშვნელოა. ჩვენი პარტიის მდგომარეობა საქართველოს ნორჩ პარლამენტში სულ წინააღმდეგია იმისა, რასაც ჩვენ ევროპაში ვხედავთ. სოციალდემოკრატია საქართველოში როდი არის ოპოზიციაშიის მართვა-გამგეობის სათავეშია მოქცეული. მისი პარლამენტალური მოქმედებაც არის არა უარყოფითი ხასიათის, არამედ დადებითი—ევროპის პარლამენტი ხშირათ მთელი თვეების განმავლობაში ვერ დაინახავს ისეთ კანონ-პროექტს, რომელიც იყოს ობიექტი წმინდა კლასობრივი ბრძოლისა; დიდი პარლამენტალური დღეები იშვიათია. საერთოთ პარლამენტალური ყოველდღიური მოქმედება განისაზღვრება წვრილმანებით; პოლიტიკური მოღვაწეობა უმეტეს შემთხვევაში ხურდავდება ამ წვრილმანებში. შეტანილ კანონ-პროექტთა დიდი უმრავლესობა საზოგადოებრივ ინტერესს მოკლებულია. მათ ირგვლივ არ სდება პარტიათა შორის ხელჩართული ბრძოლა, ამ უკანასკნელთა კლასობრივი ფიზიონომიის ყოველდღიური გამომჟღავნება.

ჩვენშიდაც, როდესაც დადგება ცოტა თუ ბევრათ ნორმალური პირობები, საზოგადოებრივ მნიშვნელობის კანონ პროექტები იშვიათად ნახავენ პარლამენტს, ჯერ-ჯერობით კი, როდესაც რევოლიუცია არ დამთავრებულა, როდესაც ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მხოლოდ ედება საძირკველი, ჩვენ ძლიერ ხშირად ვიხილავთ დიდძალ კანონ-პროექტებს, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნებათ, რომელთა ირგვლივ დიდი პოლიტიკური ბრძოლა გაჩაღდება, რომელნიც შეიქნებიან ფოკუსი, რომლისკენაც მიილტვოდეს იქნება ყველა ნერვები პარტიულ პოლიტიკისა. სამიოდე კვირაა, რაც არსებობს ჩვენი პარლამენტი და უკვე ორჯერ ვიხილეთ დიდი პოლიტიკური დღეები; ორჯერ შეეჯახნენ ერთმანეთს ორი უკიდურესი მიმდინარეობანი. ასეთ პოლიტიკურ დღეებს სხვა მნიშვნელობასთან ერთად აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ფართე მასისთვის და ამ მხრივ, რაც უფრო ჩქარ-ჩქარა ვიხილავთ დიდ პოლიტიკურ დღეებს, მით უკეთესი დემოკრატიის გათვითცნობიერებისათვის და პოლიტიკურ აღზრდისთვის.

ი. სალაყაია.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).
27 ივნისი.

ლონდონი. ლორდთა დაბალ პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში ლოიდ-ჯორჯი შეეხო რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთმა, როგორც მეომარ ერთეულმა სავსებით დაჰკარგა გერმანიის მოწინააღმდეგე კოალიციისთვის მნიშვნელობა არა მარტო დღის, არამედ მომავლისთვისაც. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას უწოდა „ბნელეთის სამეფო". ვერავითარი კორპორაცია, ვერავითარი ჯგუფი ვერ გამოხატავს მთელი ხალხის ნებას.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. კრონ პრინც რუპრეხტის ჯარი. სკარპის სამხრეთით გუშინ ინგლისელებმა დაიწყეს შემოტევა ფართე ფრონტზე. ფიუხესა და ნეუვილე-ვიტასეს ახლოს მოწინააღმდეგე უკუვაქციეთ კონტრ-იერიშით. სხვა ნაწილებშიაც მტრის აგრესიული მოქმედება შევაჩერეთ სროლით. საღამოს საარტილერიო სროლა გაცხოველდა მთელ ფრონტზე, არასსა და ალბერტს შუა და მდ. სომას ორივე ნაპირას მთელი ღამის განმავლობაში სწარმოებდა გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლა. მტერი რამდენჯერმე შეეცადა ჩვენს დაზვერვას ძლიერი რაზმებით, მაგრამ მოვიგერიეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

გერმანიის კრონ-პრინცის ჯარი. ავრასა და მარნას შუა დროგამოშვებით ენერგიული საომარი მოქმედებაა. უაზის დასავლეთით ჩვენ ხელში ჩავიგდეთ მტრის ტყვიის-მფრქვეველები. შატო-ტიერის ჩრდილო-დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

გერცოგ ალბრეხტის ჯარი. რეინბორნის თხრილის ჩრდილოეთით ბავარიის ჯარისკაცი მიუვარდა ფრანგებს სანგრებში და წამოიყვანა 2 აფიცერი და 40 ჯარისკაცი ტყვე.

24 ივნისს ჩვენ ძირს ჩამოვაგდეთ მტრის 5 აეროპლანი, გუშინ—12.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. მთელ ფრონტზე სწარმოებს გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლა და დაზვერვა. მტრის ძლიერ დამზვერავ რაზმების იერიშები მოვიგერიეთ. მდ. იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე ჩვენმა ჯარმა მიაღწია ამ მდინარის შესართავს. მზვერავებმა გადალახეს მდინარე, მათ საწინააღმდეგოთ წამოსული კავალერია გაჰფანტა ჩვენმა არტილერიამ. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

ბერლინი. 26 ივნისს მთელ ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ვენა. ენის დასავლეთით სამხედრო მოქმედება კვლავ გაცხოველდა. ტუგანის უღელტეხილზე ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ბრენტოსა და პიავას შუა გუშინ სიწყნარე იყო.

უკანასკნელი ცნობები

ბაქოს ფრონტი.

უჯარიდან გამოსული მგზავრები ამბობენ, რომ კიურდამირის და გეოკჩაის მხრივ 5 ძლიერი საარტილერიო სროლა მოისმოდაო.

ევლახთან მტკვრის ხიდზე უკვე გავიდა 12 ეშელონი ოსმალთა ჯარებისა. ეს ჯარები ბაქოს მიმართულებით მიდიან.

მუსულმანთა კორპუსის ჯავშნიანი მატარებელი განჯაში დააბრუნეს. ბაქოს ჯარებს ამას წინად უშედეგო შეტევა ჰქონდათ სად. მიუსიუსლთან. ჯარი კარგათ გაწვრთნილი აღმოჩნდა, რომელსაც დიდი ზარალი მოუვიდა. მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს დაუმარხავი მკვდრები, რომლებიც ჭაობებში ჰყრია.

ოსმალებმა 5 ეშელონი დამხმარე ძალა მიიღეს აქსტაფიდან. ოსმალეთის ჯარს საკმაოდ აქვს შნეიდერის სისტემის ზარბაზნები. ჯარის შემადგენლობა ჭრელია. კარგ შეხედულობისა და კარგათ ჩაცმულ ჯარისკაცებში შეხვდებით ჩაგლეჯილ ხალხს. დარუბანდელთან და ვარშავასთან ნამყოფი ჯარისკაცებიც კი უნახავთ ოსმალთა რაზმში.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით ჯ [illegible] ჯ რო[illegible]ბით ბაქოს მიმართულებით არც ერთ ეშელონს გერმანიის ჯარებისას არ გაუვლია.

გუშინ, 27 ივნისს შუადღის 1 საათზე მიღებული ცნობით სადგურ მიუსიუსლსა და ქარაბუჯას შუა ბალშევიკებს და ოსმალოთა შორის ბრძოლა გრძელდება. ბალშევიკები ქარაბუჯაში არიან დაბანაკებულნი, ოსმალოები კი—მიუსიუსლში. ამ სადგურთა შორის არის ჭაობიანი ადგილი, რომელიც ძლიერ უშლის ხელს ბრძოლის წარმოებაში მეომარ მხარეებს. ამ ჭაობში დაეცა 300-დე ბალშევიკი, მათ რიცხვში არიან დამხრჩვალნიც.

ოსმალები ტყვე ბალშევიკებს ხოცავენ. მოჰკლეს სამი მუსულმანი, რომელნიც იმყოფებოდენ ბაქოს ჯარში.

ქიურდამირზე შეტევის დროს ბალშევიკებს ხელში ჩაუვარდათ რამოდენიმე ყუმბარა, სურსათი და მთელი ეშელონი ოსმალთა ჯარისა.

ამ ფრონტზე ოსმალოებს ყავთ 15,000 ჯარი და 3 ეშელონი „გარეული" დივიზია.

გიორგი ვალ. პლეხანოვი

ჭიათურა. ღრმად დაგვალონა რუს. ს. დემოკრატიული პარტიის დამაარსებლის გ. ვ. პლეხანოვის გარ. დაცვალებამ.

ჭიათურის ხაზინის მოსამსახურენი.

ფოთი. ფრიად დამაღონებელი და მძიმე ფიქრების აღმძვრელია ამბავი ჩვენი მამა-მთავრის პლეხანოვის სიკვდილის შესახებ. მოკვდა სოციალიზმის დიდი დარაჯი. საჭიროა მისი სახელობის ფონდის დაარსება. დათიაშვილი, ქლენტი, კ. ჯიბლაძე, ს. ვადაჭკორია, ელბაქიანი.

წითელმა გვარდიამ, რუსეთის პროლეტარიატმა და განსაკუთრებით რ. ს. დ. პ. დაჰკარგა მამათ-მთავარი ამ პარტიისა გ. ვ. პლეხანოვი. არას დროს არ ყოფილა ისე საჭირო გ. პლეხანოვის სიცოცხლე, როგორც დღეს და აი, სწორეთ, ამ დროს დაგვაობლა და მიგვატოვა ჩვენმა მასწავლებელმა. პირველი რაიონის წითელ გვარდიელებისა, გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას.

1 რაიონის შტაბი წითელ-გვარდიისა.

შაბათს 29 თიბათვეს, დილის 11 საათზე, სახელმწიფო თეატრში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი გიორგი ვალენტინის ძის პლეხანოვის პატივსაცემათ. დილის წესრიგი: 1) აპოთეოზი, 2) ნოე ჟორდანია გახსნის კრებას, მოკლე სიტყვით ქართულ და რუსულ ენებზე, 3) სამგლოვიარო შოპენის მუსიკა, 4) აბაშელი წაიკითხავს თავის ლექს პლეხანოვზე, 5) ნ. ჟორდანიას მოხსენება: პლეხანოვი როგორც დამაარსებელი რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიისა, 6) ირ. წერეთელის მოხსენება: პლეხანოვი როგორც თეორეტიკოსი, 7) კ. ჩხეიძის მოხსენება: პლეხანოვი როგორც პოლიტიკური მებრძოლი 8) მ. სმირნოვის მოხსენება: პლეხანოვი როგორც ფილოსოფოსი, 9) ვოიტინსკის მოხსენება: პლეხანოვი და რევოლიუცია, 10) მოგონებები: ლ. მგელაძე, კ. ანდრონიკაშვილი, მიხ. ტოროშელიძე, გ. კარაჯევი, კ გვარჯალაძე, 11) პლეხანოვის გავლენა ჩვენს მუშებზე: გ. ერაძე ა. ჭიაბეროვი, ა. ფარნიევი, რ. ჩიხლაძე.

დაესწრებიან მხოლოდ პარტიის წევრები პარტიული ბარათების წარდგენით.

ახალი ამბები

წითელი გვარდიის მთავარი შტაბის მოწოდება. „დუშეთის მაზრაში მომხდარ ამბების გამო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით იქ უნდა გაიგზავნოს საუკეთესო ნაწილი წითელი გვარდიისა. ბალშევიკების მეთაურები ყოველ ღონეს იხმარენ დრო შეგვირჩიონ, შემოიკრიბონ ძალა და ლახვარი ჩასცენ რევოლიუციასა და მის მონაპოვართ. ფრონტის გასამაგრებლად აუცილებელია ზურგიც უნდა იყოს გამაგრებული. ფრონტზე მყოფნი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათ ცოლშვილსა და ოჯახს არავითარი ხიფათი არ მოელის. ამისათვის წითელი გვარდიის შტაბი აცხადებს: ყველა მოქალაქე, ვისაც აქვს სათანადო მოწმობა იარაღის ტარების შტაბისაგან, უნდა გამოცხადდეს წითელ გვარდიის შტაბში, რომ სამსახურიდან თავისუფალ დროს მიიღონ მონაწილეობა ხალხის ქონების დაცვაში—ქუჩების ყარაულობით და სხვა. რომ ჯარისკაცებს ფრონტზე წასვლის საშუალება მიეცეს, მთავარ შტაბს აქვს სია, თუ ვის აქვს მოწმობა იარაღის ტარებისა, ვინ სად სცხოვრობს. და თუ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას რევოლიუციის დაცვაში ასეთ სიმძიმე დროს, მათ იარაღი აერთმევათ და გადაეცემათ ვინც რევოლიუციას ერთგულათ დაიცავს. მოქალაქენი უნდა გამოცხადდენ სასახლეში მე-15 ოთახში დილის 9 საათიდან 1 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 9 საათამდე.

◆ **საქართველოს ეროვნული საბჭო.** დღეს დილის 11 საათზე შესდგება მორიგი კრება საქ. ერ. საბჭოსი. განსახილველია შემდეგი საკითხი. 1) შემოსული კანონ-პროექტების კომისიებში გადაცემა. 2) განხილვა კანონ-პროექტებისა ჯაშუშობის საქმეების შესახებ. დაწესებული კომისიების გაუქმების შესახებ. 3) განხილვა კანონებისა საგანგებო საგამოძიებლო კომისიის შესახებ. 4) განხილვა კანონ პროექტებისა თფილისის სამხარეო სასამართლოს გაუქმების შესახებ. 5) განხილვა ეროვნულ საბჭოს რეგლამენტისა. 6) საბოლოო რედაქცია სახელმწიფო კანტროლის დაარსების შესახებ. 7) სახელმწიფო კანტროლის არჩევა.

◆ **ბანკეტი.** თფილისში ჩამოსული გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, ბოლგარიის და ოსმალეთის დელეგაციის პატივსაცემლად 26 ივნისს საღამოს ქართულ კლუბში საქართველოს მთავრობამ ბანკეტი გამართა. ბანკეტს დაესწრნენ პოლონეთის, გერმანული, ეროვნული საბჭოების და სხვა წარმომადგენლები. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ ფრანგულად მიესალმა დელეგაციას. მოკლე სიტყვაში მან მოიგონა საქართველოს ისტორია და აღნიშნა ქართველების მიერ გაცემული სიტყვის სიმტკიცე. საქართველო ყველაზე დიდხანს იყო რუსეთის მხარზე, მაგრამ როცა ძალაუნებურათ საჭირო დარჩა ორიენტაციის შეცვლა, მან აირჩია გერმანიის ორიენტაცია, რომელიც კარგ მომავალს უქადის საქართველოსო. პასუხი გასცა გენ. კრესმა ფრანგულ ენაზედვე ოთხივე დელეგაციის სახელით. გამოსთქვა რა მადლობა ასე პატივისცემით მიღებისათვის მან აღნიშნა, რომ გერმანია, რომელიც მოვიდა საქართველოს მთავრობის მოწვევით, დაიცავს კეთილ განწყობილებას და საჭიროთ მიაჩნია არა თუ ოფიციალური წრეები, არამედ ხალხიც გაიმსჭვალოს გერმანიასთან მეგობრული კავშირის დაჭერის გრძნობითო. საქართველოს ბედი ბევრით მოგვაგონებს გერმანიის ბედს. გერმანიაშიც ისეთი ხანა იყო, როცა მისი სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთს ებრძოდენ, მაგრამ დაბოლოს ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ის დარწმუნებულია, რომ მომავალში საქართველო აყვავდება. ქართულად სიტყვები წარმოსთქვეს გიორგაძემ და ბარათაშვილმა. ბარათაშვილმა სთქვა, რომ ბორჩალოს მაზრაში გერმანელებისა და ქართველების ერთად დაღვრილი სისხლი კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ორ ერთა შორის კავშირსო.

◆ **იუსტიციის მინისტრის ამხანაგათ** დაინიშნა გრ. გველესიანი.

◆ **ხოლერის** ნიშნები აღმოაჩნდა გუშინ თფილისში 4 კაცს. ამათგან 3 კაცი ავათ გახდა მაიდანის და ხარფუხის რაიონებში.

◆ **ადერბეიჯანის რკინის გზის** მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს 25 ივნისს გაფიცვის გამოცხადება. მოითხოვდენ ეგრეთ წოდებული დეკრეტის ძალით განსაზღვრული ფულის მიცემას, რაიც თფილისის რაიონში მოსამსახურეებს მიუღიათ კიდეც. მოსამსახურეები ნაწილობრივათ დააკმაყოფილეს და ამიტომ გაფიცვა აღარ მომხდარა.

◆ **ბონების გამოცემის საქმეში** მოხდა შეთანხმება საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკებს შორის.

◆ **ამიერ-კავკასიის ბანკს** ნება დაერთო ძირითადი თანხა 3 მილიონიდან 6 მილიონამე გაადიდოს დამატებითი აქციების გამოშვებით. თითო აქცია ეღირება 300 მან.

◆ **თფ. გუბ. შრომის კომისარი ტრეიმანი** ფოთში გაემგზავრა, სადაც ის მონაწილეობას მიიღებს შავი ქვის მრეწველთა და მუშებს შორის ხელშეკრულობის შესახებ მოლაპარაკებაში.

◆ **დამცველმა შტაბმა** ქურდობისათვის დააპატიმრა შემდეგი პირნი: ქართული პოლკის სალდათი ნიკოლოზ ჩხეიძე, ქართველ ცხენოსან რაზმთა ჯარის-კაცი ცაბიაშვილი, გიორგი ნატრიაშვილი და წითელგვარდიელი არმანაკი ბაიაზიანცი.

◆ **თფ. მუშ. და ჯ.-კაც. დეპ. საბჭ.** აღმასრულებელი კომიტეტის კრება 27 ივნისს არ შედგა.

◆ **ლექცია.** ამხ. ბ. თევზაიას და მ. სმირნოვის ლექციები, რომელიც უნდა გამართულიყო კვირას, 23 ივნისს სახელმწიფო თეატრში, გაიმართება შაბათს, 29 ივნისს ამიერ-კავკასიის ექიმთა საზოგადოების დარბაზში, ალექსანდროვის ბაღი, პუშკინის ბიბლიოთეკის მახლობლად. 23 ივნისისათვის ნაყიდი ბილეთები გამოდგება 29 ივნისისათვის. წინასწარ ბილეთები იყიდება გაზ. „ბორბას" კანტორაში, ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა.

◆ **სამტრედიის აღმასრულებელ კომიტეტმა** შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ ქალაქი სამტრედია ახლო მდებარე საზოგადოებებით გამოყოფილ იქმნას ცალკე სამაზრო-ერთეულათ და შემოღებული იქმნას ერობა საკუთარი [illegible]

◆ **სროლა.** 27 ივლისს, საღ. 10 საათზე ოლღას ქუჩაზე მილიციონერებმა ერთ სახლში შეამჩნია საეჭვო პირნი და სახლს ალყა შემოარტყეს. ბოროტგამზრახველებს და მილიციონერებს შორის ასტყდა სროლა. დაიჭრა ერთი მილიციონერი და ერთი ჯარისკაცი.

◆ **დაკარგული ბავშვი.** ორი კვირის წინ ქუთაისიდან თფილისში გაიპარა ალიოშა (ლევან) სამსონის ძე ჩარკვიანი, 12 წლისა. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, სთხოვენ შეატყობინონ თეოფილე რამიშვილს თფილისში „ადესის" სასტუმროში, ვოგზალთან, № 16.

◆ **მუშათა კლუბში** დღეს სამეცნიერო სურათები და სიმებიანი ორკესტრი.

◆ **საბავშვო ბალი.** კვირას, 30 ივნისს, მუშათა კლუბში (მიხეილის პრ., № 65) გაიხსნება საბავშვო ბალი, პროფესიონალურ კავშირთა წევრების ბავშვთათვის.

◆ **მიხეილ კავსაძის სახალხო გუნდის კონცერტები.** ამ მოკლე ხანში მიხეილ კავსაძე მართავს თავის გუნდით სახალხო კონცერტებს. პირველი კონცერტი გაიმართება ხუთშაბათს, 27 ივნისს დემოკრატიულ კლუბში, მეორე—29 თიბათვეს ახალ კლუბში.

◆ **ყოფილ „ურიადნიკის" მოკვლა".** როგორც სამტრედიიდან იტყობინებიან, წითელ გვარდიელებს მოუკლავთ ძველი რეჟიმის დროს ჩაფრების უფროსათ ნამყოფი ბაგრატ ბაკურაძე.

კრებები და მიტინგები

დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონის ქალთა მორიგი კრება. (საუფლისწულო ქ., № 3).

— დღეს მესამე ქალთა გიმნაზიის შენობაში (ბებუთოვის ქუჩა) შესდგება კავკასიის მასწავლებელთა კავშირის თფილისის განყოფილების საზოგადო კრება. მოსაწყობია ნაციონალური სექცია.

პროვოკაციის ქსელი

ბაქოში.

საქართველოს წინააღმდეგ ბაქოშიაც გაუბამთ პროვოკაციის მაგარი ქსელი.

პირველ რიგში სომეხთა რევოლიუციონური პარტია დაშნაკცუტიუნია.

ამ პარტიის რუსული გაზეთი „ვპერიოდი" თავის თავს ასეთ მოწმობას აძლევს: გაზეთი „ვპერიოდი" სომეხთა რევოლიუციონური პარტიის დაშნაკცუტიუნის ბაქოს კომიტეტის ცენტრალური ორგანოა. ამ პარტიას თავი მიაჩნია საერთაშორისო სოციალიზმის ერთ-ერთ რაზმათ".

რატომ იქებს თავს აგრე ეს შოვინისტური პარტია, ვის უპირდაპირდება ის? მენშევიკებს, რომელშიაც ჰგულისხმობს ქართველ სოციალდემოკრატებს.

ამ გაზეთის სიტყვით, თურმე ზოგიერთმა მენშევიკებმა რუსეთში ოქტომბერში მომხდარ გადატრიალების შემდეგ მოქმედება გადაიტანეს თფილისში. აქ ბეგებს და ხანებს შეუერთდენ და ჩაახშვეს ყოველგვარი პროტესტის ხმა მათი საზიზღარი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული.

„ქართველმა შოვინისტებმა, რომლებიც თავს რევოლიუციონერებს უწოდებენ, სახაზინო იარაღით შეაიარაღეს ხანების აშკარა კონტრ-რევოლიუციონური ბანდები, რომლებმაც შამხორში სისხლის გუბეები დააყენეს „აკოპის" სალდათებისთვის იარაღის აყრის დროს. დამოუკიდებელ საქართველოში მათ მიზანს მიაღწიეს: იქ აღდგენილია თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის ძალა უფლება. იქ ხიშტების საშუალებით ახშობენ ღარიბ გლეხთა აჯანყებებს. ჩხენკელის, წერეთლის და ჩხეიძის სახელოვანმა კომპანიამ სასირცხოთ უღალატა რევოლიუციის საქმეს, რომ აღედგინათ საქართველოში თავადების და კაპიტალისტების ძალა უფლება, შეასრულეს საზიზღარი აქტი გამყიდველობისა სომხის რევოლიუციონური დემოკრატიის მიმართ, რომელიც პირში მისცეს ოსმალეთის ჯარებს".

ასეთივე კილოთი სწერს ბალშევიკების „ბაკინსკი რაბოჩი". ეს გაზეთი ეხება ირ. წერეთლის მიერ სეიმში წარმოთქმულ ერთ-ერთ სიტყვას და სწერს: „წერეთლის სიტყვა ტიპიური ნაციონალისტური სიტყვაა. აზნაურმა წერეთელმა არ უღალატა თავის კლასს. ეს აშკარაა ყველა ცოტათი შეგნებულ პროლეტარიატისთვის. ამიტომ საჭიროა წერეთელმა და მისმა ამხანაგებმა თავი დაანებონ დიდებული მასწავლებლის მოწმად მოყვანას და მარქსისტულ ფრაზეოლოგიას. საზიზღრობასაც თავის საზღვარი უნდა დაედოს".

ერთ ერთ ნომერში მოთავსებულია ბაქოს საბჭოს ანგარიში. ირკვევა, რომ ცნობილ სერ. ქავთარაძეს მოხსენება გაუკეთებია, რომლის შესახებ კამათი ყოფილა გამართული. შაუმიანი ამტკიცებს, რომ ბრესტის ხელშეკრულობა არ არის დამნაშავე იმაში, რომ ამიერ კავკასიაში ოსმალები შემოვიდენ. არავინ მენშევიკებს თავდაცვის საქმეში ხელს არ უშლიდა, მაგრამ მათ თავდაცვა არ ისურვეს. ტყვილად კი არ უთქვამს სეიმში ონიაშვილს, რომ რუსეთის ორიენტაცია არის რეაქციონური ორიენტაცია და უნდა გამონახულ იქნას [illegible] ორიენტაციაო. ჩხეიძემ კი მხარი დაუჭირა ა განცხადებას, რომ უკეთესია ოსმალებ (!) მივენდოთ, ვიდრე ბალშევიკებსო". ამავე აზრისაა ჯაფარიძეც. ის ამბობს „მენშევიკებს ჰქონდათ საშუალება მოეწ ყოთ თავდაცვა, მაგრამ ისინი მისწყდენ რევოლიუციონურ რუსეთს და შეუკავშირ დენ კონტრ-რევოლიუციონურ ჩრდილო კავკასიასთან. იმ დროს, როცა ოსმალე ბი იღებდენ ბათუმს და ოზურგეთს ჯუ ღელის რაზმი მიიმართებოდა სამეგრე ლოსკენ იქაური გლეხების წინააღმდეგ და სხვ".

ასე აშუქებენ ჩვენს ცხოვრებას. რა პირით ამბობენ ეს ვაჟბატონები თავდა ცვის საქმეში ხელს არ ვუშლიდითო?

ასე რომ ის აჯანყება, რომელიც ოსმა ლების შემოტევის დროს ბალშევიკებმა მოგვიწყვეს და ზურგში მახვილი ჩაგვცეს ხელის შემშლელი თურმე არ ყოფილა და ყურადღება არ უნდა მიექცია მთავ რობას მისთვისო.

მაგრამ რა მოხდებოდა ასე რომ მოგ ქცეულიყავით?

ნატანებში ჩვენს ჯარს ბათუმის მხრი დან მოადგებოდა ოსმალთა ჯარი, აღ მოსავლეთიდან, სამეგრელოდან—ბალშ ვიკური ბანდები. ანდა გორში გინ მცხეთაში გზას გადაგვიჭრიდენ გახული განებული ოსები და ჯარისკაცები, მოგვ წყვეტდენ დასავლეთ საქართველოს და მაშინ უფრო ადვილი იქნებოდა თურქ თავის დაც ვა!..

გამოლმა გვედავებიან, რომ გაამარ თლონ მოღალატური მოქმედება!..

სომხის ნაც იონალისტები და ბალშე ვიკები ერთი ენით ალაპარაკდენ, ერთ კილოზე მღერიან, ორივენი თანაბრად ბალშევიკობენ ან უკეთ ხულიგნობენ და ჩვენ ამათი სუნრნელოვანი წერილები თუ ამოვსწერეთ, მხოლოდ იმისთვის, რომ მკითხველმა გაიგოს, როგორ შეიძლება ბოროტათ ხმარება მაგარი ფრაზების, თუ მწერალს სვინდისი გამოელია.

მოვალეობის მსხვერპლი

შალიკო ელიაძე.

„მონას რათ უნდა კრული სიცოცხლე
ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი,
სჯობს მონობაში გადიდკაცებულს,
თავისუფლების ძებნაში მკვდარი".

აკაკი.

ბედკრულო, ბედშავო, განაწამებო გუ რიავ! შენი სასაფლაონი ვერ იტე ბრძოლაში გულგანგმირულ მსხვერპლებ მიწის წიაღში მათ მისაბარებლათ შ ყოველდღე სთხრი უთვალავ ახალ საფ ლავებს და როს ყველა დაღუპულთ დასაფლავებას ვერ ასწრებ, ამ წმინდ მსხვერპლთ ათობით აგროვებ ერთ ღრმასა და შავ „ძმურ" საფლავში. გ მოატარე, გურიავ, შენი მტერნი შე გმირობაში ეჭვ-შეპყრობილნი ნატან ბიანათ-ჩოხატაურამდე და ნახონ მ მინდვრათ მთელი რიგი მეომართა საფ ლავებისა! შინ ბრძოლაში დაცემულთ და შენს საზღვრებ გარეშე დაღუპულ გმირთა. სადახლო, ბორჩალო, აწყური, სამეგრელო, ბათუმი, ჩოლოქი, ვაშნარი, ნასაკირალი, ცხინვალი, ლეჩხუმი. ადგილნი, რომელთაც შენ გიძღვნე გულგანგმირული შენი შვილნი. ამას აკლდა სოხუმი და ახალი ათონი, და შენს კეკლუცსა და ტურფა მიდამოებშ ჩასახუტებლათ 23 ივნისს აკი მოგიძღ ნა ბედმა შავძალთა მიერ 19 ივნის ათონთან ხელჩართულ ბრძოლაში მ მაცათ დაღუპულ გმირთა კუბოები შალვა ელიაძისა და სანდრო ქადეიშვი ლისა. ყველაფრამდის უზრუნველყოფი ლი, შეძლებულ ოჯახში გაზრდილ სანდრო, წითელ გვარდიელთ გაყვა მო ზღვავებულ ხულიგანთა, თავისუფლები და წესიერების მტერთა შესამუსრავათ და იგი ამ წმინდა ბრძოლაში გულ-გან მირული დაეცა. ოზურგეთში დასაფლა ვების დღეს მისმა უფროსმა, ერთათერთ ვაჟიშვილის დამკარგველმა მწუხარე მა მამ, მისი, ისედაც წაუშლელი სახელი აღსანიშნავათ, ორასი თუმანი შესწირ ვაშნართან ოსმალებთან ბრძოლაში და ცემულ გმირთა ძმურ საფლავზე ძეგლი ასამართავათ. სანდროსთან ერთათ ამ ომში დაეცა ნამდვილი რაინდი, შტაბს კაპიტანი, 22 წლის ვაჟკაცი შალვა ელიაძე ღარიბისა და მშრომელ ოჯახი შვილი. შალვამ თვითგანვითარებით გო ნება-სულის განათლებას მიაღწია. დაჭ ოსმალეთის, გერმანიის, ავსტრიის და რუმინეთის ფრონტზე. გასაოცარი გუ ლადობისათვის ყველაფრით დაჯილდო ვებული იყო. სამშობლომ რომ მხედარი მოუწოდა, იგი აქეთ გამოეშურა და ქართველ მესამე მსროლელთა პოლკი გულათ და სიამაყეთ ითვლებოდა.

სამეგრელოში ბალშევიკთა ბრბოს შე ებრძოლა. ამ ბოლო ჟამს კი სოხუმ რომ საფრთხე მოელოდა, იგი ფოთიდ წითელ გვარდიელებმა ხელმძღვანელა აირჩიეს და მან მიატოვა დროებით თა ვის პოლკი. რაზმით გაექანა ათონისა კენ, სადაც მას შეეტაკა მას რაზმზე რამ დენიმეჯერ მეტ რიცხოვანი ბნელ ძა ლების ჯარი. სამაგალითო ბრძოლაშ შალვა დაეცა და შინ ძაძებით